# სარბიელი

სპორტული გაზეთი    გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან    სამშაბათი, 12 ივლისი    1994 № 38 (113)    ფასი 70 000 კუპონი

## საქართველო - მალტა

17 ივლისის შემდეგ დიდი ფეხბურთი მცირე შესვენებას აილებს, თუმცა არა საქართველოში. სამშაბათს, 19 ივლისს თბილისში, ეროვნულ სტადიონზე საქართველოს ნაკრები მალტის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. ეს სწორედ ის „ტესტ-მატჩია", უეფა რომ გვავალდებულებდა და ამიტომაც შეხვედრას ამ ორგანიზაციის მეთვალყურეები დაესწრებიან, მათი პატაკის შემდეგ კი უეფა მიიღებს გადაწყვეტილებას — ითამაშოს თუ არა ჩვენმა ნაკრებმა თბილისში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები, რომელთაგან უახლოესი უკვე 7 სექტემბერს უნდა შედგეს. მალტის ნაკრები თბილისში ჩამოვა ერევნიდან, სადაც 16 ივლისს ანალოგიურ გამოცდას სომხეთის ნაკრები აბარებს. როგორც ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, 19 ივლისის შეხვედრას ფრანგი მსაჯები მოემსახურებიან.

## «დინამო» - უეფას თასზე

საქართველო წლევანდელ ევროტურნირებზე კვლავ ერთი გუნდით იასპარეზებს — თბილისის „დინამო" უეფას თასზე გამოვა. წილისყრა 20 ივლისს გაიმართება, პირველი წრის მატჩები 9-10 და 23-24 აგვისტოს.

### ჩემპიონთა თასი

**პირდაპირ ჩემპიონთა ლიგაში დაშვებულნი არიან:** 1. მილანი (იტალია), 2. აიაქსი (ჰოლანდია), 3. მანჩესტერი იუნაიტედი (ინგლისი), 4. ბაიერნი (გერმანია), 5. ბარსელონა (ესპანეთი), 6. ბენფიკა (პორტუგალია), 7. სპარტაკი (რუსეთი), 8. ანდერლეხტი (ბელგია)

**შესარჩევ წრეს ითამაშებენ:** 9. პსჟ (საფრანგეთი), 10. რეინჯერსი (შოტლანდია), 11. ლეგია (პოლონეთი), 12. კაზინო (ავსტრია), 13. გიოტებორგი (შვედეთი), 14. დინამო (კიევი, უკრაინა), 15. გალათასარაი (თურქეთი), 16. სტიაუა (რუმინეთი), 17. სპარტა (ჩეხეთი), 18. ჰაიდუკი (ხორვატია), 19. ა.ე.კ. (საბერძნეთი), 20. მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი), 21. სლოვანი (სლოვაკეთი), 22. სერვეტი (შვეიცარია), 23. ვაც-სამსუნგი (უნგრეთი), 24. სილკებორგი (დანია). **გამარჯვებული 8 გუნდი დაემატება განთესილ რვას და 4 ჯგუფად დაყოფილი 16 გუნდი მეოთხედფინალისტებს გამოავლენს.**

### თასების თასი

**შესარჩევი წრისგან თავისუფალნი არიან:** 1. სა[illegible]ორია (იტალია), 2. არსენალი (ინგლისი), 3. ვერდერი (გერმანია), 4. ოს[illegible] (საფრანგეთი), 5. პორ[illegible] (პორტუგალია), 6. სარაგოსა (ესპანეთი), 7. ჩელსი (ინგლისი), 8. ბრიუგე (ბელგია), 9. ც.ს.კ.ა. (რუსეთი), 10. ბრონდბიუ (დანია), 11. ფეიენოორდი (ჰოლანდია), 12. აუსტრია (ვენა, ავსტრია), 13. დანდი იუნაიტედი (შოტლანდია), 14. პანათინაიკოსი (საბერძნეთი), 15. კროაცია (ხორვატია), 16. ტატრანი (სლოვაკეთი), 17 ბეშიქთაში (თურქეთი), 18. გრასჰოპერსი (შვეიცარია), 19. გლორია (რუმინეთი), 20. ჩერნომორეცი (უკრაინა).

**შესარჩევ წრეს ითამაშებენ:** 21. ლ.კ.ს. (პოლონეთი), 22. ნორჩიოპინგი (შვედეთი), 23. ფერენცვაროში (უნგრეთი), 24. მარიბორი (სლოვენია), 25. პირ[illegible] (ბულგარეთი), 26. მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი), 27. ბოდო გლიმტი (ნორვეგი[illegible] 28. ფანდოკი (ბობრუისკი, ბელარუსი), 29. ჰ.ი.კ. (ფინეთი), 30. ომონია (კვიპროსი), 31. ი.ბ.კ. (კეფლავიკი, ისლანდია), 32. ტირანა (ალბანეთი), 33. ბანგორი (ჩრდილოეთ ირლანდია), 34. ფლორიანა (მალტა), 35. ჟალგირისი (ლიტვა), 36. სლიგო როვერსი (ირლანდია), 37, F 91 დუდელანჟი (ლუქსემბურგი), 38. ბერი თაუნი (უელსი), 39. ვიქტორია (ჟიჟკოვი, ჩეხეთი), 40. სანდური (ფარერები), 41. შაანი (ლიხტენშტეინი), 42. ტილიგული (მოლდოვა), 43. ოლიმპია (რიგა, ლატვია), 44. ნორმა (ტალინი, ესტონეთი). **გამარჯვებული 12 გუნდი დაემატება დანარჩენ 20-ს და ტრადიციული სისტემით ითამაშებენ.**

### უეფას თასი

1. იუვენტუსი (იტალია), 2. მარსელი (საფრანგეთი), 3. პარმა (იტალია), 4. ინტერი (იტალია), 5. ლაციო (იტალია), 6. ნაპოლი (იტალია), 7. რეალი (მადრიდი, ესპანეთი), 8. ბორუსია (დორტმუნდი, გერმანია), 9. ბორდო (საფრანგეთი), 10. კანი (საფრანგეთი), 11. ნანტი (საფრანგეთი), 12. ბაიერი (ლევერკუზენი, გერმანია), 13. აინტრახტი (გერმანია), 14. კაიზერსლაუტერნი (გერმანია), 15. ლ[illegible] კორუნია (ესპანეთი), 16. ატლეტიკი (ბილბაო, ესპანეთი), 17. ასტონ ვილა (ინგლისი), 18. ნიუკასლ იუნაიტედი (ინგლისი), 19. ბლექბერნ როვერსი (ინგლისი), 20. სპორტინგი (პორტუგალია), 21. ბოავიშტა (პორტუგალია), 22. მარიტიმუ (პორტუგალია), 23. ტრაბზონსფორი (თურქეთი), 24. ანტვერპენი (ბელგია), 25. სერენი (ბელგია), 26. შარლერუა (ბელგია), 27. ადმირა ვაკერი (ავსტრია), 28. დინამო (მოსკოვი, რუსეთი), 29. ტექსტილშჩიკი (კამიშინი, რუსეთი), 30. როტორი (რუსეთი), 31. სიონი (შვეიცარია), 32. ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი), 33. ვიტესი (ჰოლანდია), 34. ეინდჰოვენი (ჰოლანდია), 35. ტვენტე (ჰოლანდია), 36. ტიროლი (ავსტრია), 37. დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი), 38. მოზერველი (შოტლანდია), 39. აბერდინი (შოტლანდია), 40. ინტერი (სლოვაკეთი), 41. ა.ი.კ. (შვედეთი), 42. კოპენჰაგენი (დანია), 43. ფენერბაჰჩე (თურქეთი), 44. არისი (საბერძნეთი), 45. არაუ (შვეიცარია), 46. უნივერსიტატია (რუმინეთი), 47. რაპიდი (რუმინეთი), 48. შახტიორი (უკრაინა), 49. ც.ს.კ.ა. (ბულგარეთი), 50. გ.კ.ს. (პოლონეთი), 51. გურნიკი (პოლონეთი), 52. ტრელებორგი (შვედეთი), 53. ოდენსე (დანია), 54. **ავენირი (ლუქსემბურგი)**, 55. სლავია (ჩეხეთი), 56. კიშპეშტ-ჰონვედი (უნგრეთი), 57. **რუსენბორგი (ნორვეგია), 58. ლევსკი (ბულგარეთი)**, 59. შუმენი (ბულგარეთი), 60. ბეკეშჩაბა (უნგრეთი), 61. აპოელი (ბერ-შევა, ისრაელი), 62. ლილესტრიომი (ნორვეგია), **63. დინამო (მინსკი, ბელარუსი), 64. აპოლონი (კვიპროსი), 65. აკრანესი (ისლანდია), 66. ლინფილდი (ჩრდილოეთ ირლანდია)**, 67. მიუპა-47 (ფინეთი), **68. იაცი (ფინეთი)**, 69. ინტერი (კარდიფი, უელსი), 70. ანორთოსისი (კვიპროსი), 71. ჰაფნარფიორდური (ისლანდია), **72. ტეუტა (ალბანეთი), 73. ოლიმპია (სლოვენია)**, 74. მურა (სლოვენია), 75. [illegible]ტაუნი (ჩრდილოეთ ირლანდია), **76. სკონტო (ლატვია)**, 77. კორკ სიტი (ირლა[illegible]ია), **78. შემროკ როვერსი (ირლანდია), 79. ჰიბერნიანსი (მალტა)**, 80. ლა ვალეტა (მალტა), 81. გრევენმახერი (ლუქსემბურგი), **82. ზიმბრული (მოლდოვა)**, 83. ჰაფნარი (ფარერები), **84. გოტა (ფარერები), 85. ვარდარი (მაკედონია), 86. ტურანი (აზერბაიჯანი), 87. რომარი (ლიტვა), 88. დინამო (თბილისი, საქართველო), 89. ბანგორ სიტი (უელსი), 90. არარატი (ერევანი, სომხეთი), 91. ფლორა (ესტონეთი).**

გამოყოფილნი არიან თავისი ქვეყნის ჩემპიონები.

# WorldCup USA 94

ნახევარფინალები. 13 ივლისი

## ბრაზილია — შვედეთი
## ბულგარეთი — იტალია

სამი წლის წინ სტან ვალქსი და რომარიო ერთად თამაშობდნენ ეინდჰოვენში. წინა შაბათს ბრაზილიელმა არც ვალქსი დაინდო და არც თავისი აწინდელი თანაკლუბელი რონალდ კუმანი...





- როცა დიეგო შესამოწმებლად გამოიძახეს, ორივეს ხუმრობა გვეგონა - განაცხადა გუშინ მარადონას ცოლმა კლაუდია ვილაფანემ: - ჩემპიონატის ორი სპონსორი ფირმის მოხელეები, რომელთა ვინაობასაც მალე გავამხელ, ჩემ ქმარს ერთი წელია, პირდებოდნენ - ოღონდ ითამაშე და დოპინგ-კონტროლს აგარიდებთო...

1/4. 10 ივლისი.
**შვედეთი** — რუმინეთი 2:2 (5:4)

1/4. 9 ივლისი.
**ბრაზილია** — ჰოლანდია 3:2

1/2. 13 ივლისი. 03.30
ბრაზილია — შვედეთი

1-2. 17 ივლისი. 23.30



3-4. 16 ივლისი. 23.30

1/2. 13 ივლისი. 24.00
იტალია — ბულგარეთი

1/4. 9 ივლისი.
**იტალია** — ესპანეთი 2:1

1/4. 10 ივლისი.
**ბულგარეთი** — გერმანია 2:1

# ბებერი მელა სკუადრა

## იტალია 2:1 ესპანეთი

45. მეოთხედფინალი
ბოსტონი, 9 ივლისი

იტალია: პალიუკა, ტასოტი, მალდინი, კოსტაკურტა, ბენარივო, ალბერტინი (სინიორი 46), კონტე (ბერტი 66), დ. ბაჯო, დონადონი, რ. ბაჯო, მასარო
ესპანეთი: სუბისარეტა, ფერერი, ნადალი, ალკორტა, ოტერო, აბელარდო, ბაკერო (იერო 65), სერხი (სალინასი 60), კამინერო, გოიკოეჩეა, ლუის ენრიკე

1:0 დ. ბაჯო (27)
1:1 კამინერო (60)
2:1 რ. ბაჯო (88)

გაფრთხილება: აბელარდო (3), კამინერო (20)
მსაჯი: შ. პული (უნგრეთი)

არიგო საკიმ იდეები ვერ ამოწურა: კარი კვლავ პალიუკას ანდო, დაცვაში ტასოტი დააბრუნა, მელოტი ნახევარმცველი

WorldCupUSA94



„სარბიელის" რჩეული:
**რობერტო ბაჯო**
(იტალია — ესპანეთი)

კონტე კი იტალიელთა გუნდის მეოცე მოთამაშე გახლდათ, ჩემპიონატზე რომ გამოიყენა ამგვარად „სკუადრა ატურას", ტურნისტად წაყვანილი ორი პარმელი ფეხბურთელიღა დარჩა — მინოტი და მეკარე ბუ... აშშ-ის მოედნებზე ხავიერ კლემენტემ ოცი ფეხბურთელი ათამაშა, თუმცა იტალიელთა წინააღმდეგ „უმუშევართა" რჩეულიდან (ხუანელე და მეკარე ლოპესი) ერთიც არ გამოუშვია და აწი, საკის ...ში, თუ იტალიურ დუეტს კიდევ აქვს თამაშის შანსი, ესპანელებს იმედი გადაეწურათ — შინ ბრუნდებიან. ფრთხილ შეხვედრაში პირველი ნაღდი ხიფათი საჭის ჩემპიონებმა შექმნეს — მასაროს ნალი მისდევდა, მაგრამ საჯარიმოში შეჭრილმა სწრაფმა ვეტერანმა მეტოქე არ მიუშვა, რობერტო ბაჯოს პასი მიაწოდა, რომელსაც ხელს ალკორტა, ფერერი და მეკარე სუბისარეტა უშლიდნენ. ბაჯომ დაარტყა, თუმცა ფერერი გაწვა და კარში მიმავალ ბურთს გზა გადაუღობა. შემდეგ კვლავ ნელი, დაკვირვებული თამაში გაგრძელდა. ერთ-ერთ ეპიზოდში ბურთი მასარომ ჩაიგდო და დინო ბაჯოს გაუგორა, მან დონადონის მიაწოდა, რომელმაც დინოს დაუბრუნა — იტალიელები კარში დასარტყმელად ხელსაყრელ მომენტს ეძებდნენ — დინოს დარტყმა საოცარი არაფრით გახლდათ, უბრალოდ სუბისარეტა რატომღაც მარჯვენა ძელისკენ მეტისმეტად ჩაწეულიყო და ნახტომით ბურთს ვეღარ მიწვდა — 1:0. ერთ წუთში სერხის ჩაწოდებულს კამინერომ დაარტყა თავი, მაგრამ პალიუკამ ივარგა. ცოტა ხანში ესპანელებმა კუთხურიც ჩააწოდეს. ოთხი მცველის ალყაში აბელარდო ლამის იყო აფრინდა — მისი თაური მიზანს აცდა. შემდეგ რობერტო ბაჯომ კონტეს მიაწოდა კარგად, ოღონდ ამან ვერ შეიშნო. ტაიმის მიწურულს ბუდისტმა კიდევ რამდენიმე მწვავე პასი ჩააწოდ-ჩამოაწოდა, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა. ესპანელებმა ერთიც ჩაიქროლეს იტალიელთა კარ...ან — კამინერომ თაური ვერ მოახერხა. შესვენებამდე ბოლო მომენტი მაინც „სკუადრა ატურასი" იყო.

კარები რომ შეცვალეს, ესპანელებმა შეუტიეს, ოღონდ იცოდნენ ვისთან ჰქონდათ საქმე და ამიტომ თავს მეტისმეტი გაშმაგების უფლება არ მისცეს. მე-13 წუთიდან ...-ორი „კარუსელი" მაინც დაუტრიალეს მეტოქეს, პალიუკას აკრობატობა შეამოწმეს, მაგრამ, როდესაც ლუის ენრიკემ კოსტაკურტას ბურთი წაართვა, მისი პასი ოტერომ გაატარა, კამინერომ კი დაარტყა და ბურთს ბენარივოს ფეხმა მიმართულებაც შეუცვალა, მეკარემ ვეღარა გაწყო — 1:1. აქედან მოყოლებული, მცირე პაუზებით, ...რივე კართან აურზაური ატყდებოდა ხოლმე. 38-ე წუთზე ახალშესულმა, მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა სალინასმა, ვერაფრით აირჩია რა გზას დასდგომოდა, დაერტყა, მოეტყუებინა პალიუკა, თავზე გადაეგდო მისთვის თუ რა ეღონა. ამ შემოქმედებით წვაში მყოფმა პოზიცია გაიარესა და გოლკიპერს ბურთი შიგ ფეხებში გაარტყა — ვეღარც კამინერომ დაამატა. ამ ამბიდან ხუთი წუთის შემდეგ იტალიელებმა აჩვენეს თუ როგორ უნდა ნამდვილი შემოქმედება — ბერტიმ ცენტრს უკნიდან ბურთი სინიორის გადაუგდო, რომელიც მან ერთი შეხებით რობერტო ბაჯოს საჯარიმოში გაუჩინა, ბაჯომ მომენტი შეარჩია და თამაში მოიგო — 2:1.

ესპანელთა ბოლო გაწიწმატებას შედეგი აღარ მოჰყვა — ერთი იყო, ტასოტიმ ბრაზილიელ ლეონარდოს „აუხსნა", როგორ უნდა მეტოქისთვის თავ-ყბაში მირტყმა, თანაც საჯარიმოში, ისე რომ მსაჯმა ვერ შენიშნოს. ასეა თუ ისე, ვინმეს მოსწონს თუ არა, იტალიის გუნდმა ნახევარფინალში გასვლის საქმე მოაკვარახჭინა, იქ კი ბებერი სკუადრასგან კაცი ყველაფერს უნდა ელოდე.

ილია ბაბუნაშვილი

# ბებეტო გიმღერს ნანასა...

## ბრაზილია 3:2 ჰოლანდია

46. მეოთხედფინალი
დალასი, 9 ივლისი

ბრაზილია: ტაფარელი, ჟორჟინიო, ალდაირი, მარსიო სანტოსი, ბრანკო (კაფუ 88), მაურო სილვა, დუნგა, ზინიო, მაზინიო (რაი 80), ბებეტო, რომარიო
ჰოლანდია: დე გუს, კუმანი, ვალქსი, ვინტერი, ვაუტერსი, რაიკაარდი (რ. დე ბური 65), ვიჩხე, იონკი, ოვერმარსი, ვან ფოსენი (როი 54), ბერხკამპი

1:0 რომარიო (52)
2:0 ბებეტო (62)
2:1 ბერხკამპი (64)
2:2 ვინტერი (76)
3:2 ბრანკო (81)

გაფრთხილება: ვინტერი (40), დუნგა (73), ვაუტერსი (87)
მსაჯი: რ. ბადილია (კოსტა-რიკა)

ბრაზილიის მარცხენა მცველ ლეონარდოს, რომელმაც ამერიკელ რამოსს მერვედფინალში ყბა ჩაულეწა, ფიფამ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა და ამით 1998 წლის ჩემპიონატის პირველ თამაშსაც გამოაკლო. ლეონარდოს არყოფნა საბედისწერო... ჰოლანდიისთვის აღმოჩნდა: მისმა შემცვლელმა ბრანკომ, ვისთვისაც ეს მესამე ჩემპიონატია, ჯარიმების დამრტყმელის ფუნქცია იკისრა — ჯერ კედელს გაარტყა ბურთი, მეორე ცდაზე დე გუსმღეც უწია, ბოლოს კი გადამწყვეტი გოლიც გაიტანა და თამაშის ბოლოს

WorldCupUSA94



„სარბიელის" რჩეული:
**ბებეტო**
(ბრაზილია — ჰოლანდია)

მოედნიდან სამწუთიანი საზეიმო გაცილებაც მოიწყო — ჯერ თანაგუნდელებს დაემშვიდობა, მსაჯს გზა დაალოცვინა, ჰოლანდიელებსაც ჩამოუარა და გახევებულ კუმანს ხელიც ჩამოართვა, ბოლოს კი თავისი შემცვლელი კაფუ გემრიელად ჩაკოცნა...

პირველმა ტაიმმა ჰოლანდიური სცენარით ჩაიარა. ადვოკაატმა სულ ორი მცველი გამოიყვანა, მაგრამ ვალქსსა და კუმანს წინ ხუთკაციანი (ვინტერი, ვაუტერსი, რაიკაარდი, იონკი, ვიჩხე) მეორე ეშელონი ჩაუყენა და ბრაზილიელებს გასაქანი არ მისცა: მათ მოკლე პასებს ხუთეული აკონტროლებდა, გრძელ ჩაწოდებებს — ვალქსი და კუმანი. ვალქსმა რომარიოც ჩაიბარა და გაუმკლავდა კიდეც, ბებეტომ კი ტაიმის ბოლოსთვის ბურთის მისაღებად უკან ჩამოსვლაც იწყო. ჰოლანდიელებიც მოედნის ცენტრში მოკლე გადაცემებს მიეძალნენ, წინ ბერხკამპი და ვან ფოსენი თუ დაჩალიჩობდნენ.

შესვენებამდე ჰოლანდიელებს კარში დარტყმის საშუალება ერთხელ მიეცათ: იონკის ჩაწოდებულიდან ბერხკამპმა თაური ააცილა, ბრაზილიელებს — რამდენჯერმე, თუმცა საგოლე მომენტამდე საქმე ვერ მიიყვანეს: ჯერ ვალქსმა შეუშალა ხელი რომარიოს, მერე მაურო სილვამ და მარსიო სანტოსმა ოდნავ ააცილეს, ბოლო წუთზე კი ნამეტნავად გრძელი კომბინაცია მოინდომეს, დარტყმა კი ვეღარ მოახერხეს.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე ბრაზილიამ ორი შეტევა განახორციელა და უცებ აღმოჩნდა რომ ვალქსი და კუმანი თანაგუნდელებს მიეტოვებინათ (?!). ვალქსმა ერთხელ ივაჟკაცა, მერე საქმეში დე გუიც ჩაერია, მაგრამ ჰოლანდიელებმა ეს ორი გაფრთხილება ყურად არ იღეს და კონტრშეტევების წამოწყება სცადეს. რაიკაარდის გრძელი პასი ალდაირმა ჩაიგდო, ბურთი უმალ ბებეტოს გადაუგზავნა, ამან კი ფლანგიდან ცენტრში მიტოვებულ რომარიოს მიაწოდა — 1:0. ამის შემდეგ ბრაზილიელებს გრძელი პასები გაუგიდათ და ჯერ ბებეტოს, მერე კი რომარიოს კიდევ ორჯერ შეექმნათ საგოლე მდგომარეობა. მწვრთნელისა თუ თანაგუნდელებისგან გაწირული ორი ჰოლანდიელი მცველი მთლად დაიბნა და ცოტა ხანში ფეხიც არ გაუნძრევიათ, როცა მათ შორის მყოფმა ბებეტომ ბურთი მიიღო, მეკარესთან პირისპირ გავიდა და მეორე გოლიც გაიტანა, რომელიც თავის ახლადშეძენილ ვაჟს მიუძღვნა და მოედნიდანვე ნანაც უმღერა.

მეორე და ბანი მაურო სილვამ და რომარიომ შეაშველეს.

მერე ბრაზილიის დაცვის ჯერიც მოვიდა: ოღონდ ესენი ზედმეტი გარჯისაგან კი არა, უსაქმობისაგან გაშტერდნენ — ბერხკამპის გოლს შორიდან უყურეს და ჰოლანდიამაც შეუტია. ჯერ ვაუტერსის დარტყმა ტაფარელმა მოიგერია, მერე ბერხკამპ — როის კომბინაცია კუთხურით დამთავრდა და სანამ ბერხკამპი მსაჯს პენალტს გამოსთხოვდა, ოვერმარსის მოწოდებული ბურთი ვინტერმა თავით კარში გადაგზავნა — 2:2.

თითქოს ყველაფერი მიწყნარდა, მაგრამ ხუთიოდ წუთში ბრანკომ იონკს თავი წააქცევინა და საჯარიმოც თავად დაარტყა: კედელს კი გაცდინა, მაგრამ რომარიოსთვის უნდა მოეხვედრებინა, ამ უკანასკნელს რომ არ მოესწრო და ბურთისთვის გზა არ მიეცა...

ბრაზილია 1978 წლის შემდეგ პირველად მოხვდა საუკეთესო ოთხეულში და სამეოთხედფინალო 7:1-ის შემდეგ ევროპული და სამხრეთამერიკული გუნდების შეფარდება ნახევარფინალში ამ უკანასკნელთათვის არც ისე კატასტროფულია — 3:1.

ჰოლანდიამ ამ ჩემპიონატზე ალბათ თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს მიაღწია. არადა, ორი დე ბურის მაგივრად ორი ვალქსი რომ ჰყოლოდათ, კუმანიც უფრო მოიცლიდა შეტევისთვის და ლამის მთელი ნახევარდაცვაც მასზე რომ იყო გადამკვდარი — ონავარ ბავშვს რომ ცხრა გადიას მიუჩენენ, ემანდ რამე ხიფათი არ მოიწიოსო — უფრო შეაშველებდა ხელს წინ ეულად მოთარეშე ბერხკამპს. პარადოქსია, მაგრამ სწორედ სტან ვალქსის ირლანდიასთან და ბრაზილიასთან კარგმა თამაშმა დაღუპა ჰოლანდიელები — კუმანსაც სული მოათქმევინა, ნახევარდაცვასაც და ამათმაც წინ წაიწიეს — ალბათ ყოვლისშემძლე თუ ეგონათ ვალქსი.

მამუკა ჩიხლაძე

# ბერტი კაპუტ...

## ბულგარეთი 2:1 გერმანია

47. მეოთხედფინალი
ნიუ-იორკი, 10 ივლისი

ბულგარეთი: მიხაილოვი, კირიაკოვი, ხუბჩევი, ივანოვი, იანკოვი, ცვეტანოვი, ლეჩკოვი, სირაკოვი, ბალაკოვი, სტოიჩკოვი (იორდანოვი 84), კოსტადინოვი (გენჩევი 89)
გერმანია: ილგნერი, ბერთოლდი, მათეუსი, ჰელმერი, კოლერი, ვაგნერი (შტრუნცი 58), ბუხვალდი, ჰესლერი (ბრემე 82), მიოლერი, ფიოლერი, კლინსმანი

0:1 მათეუსი (52)
1:1 სტოიჩკოვი (76)
2:1 ლეჩკოვი (78)

გაფრთხილება: ჰელმერი (14), ვაგნერი (15), ივანოვი (23), სტოიჩკოვი (82), მიხაილოვი (85), ფიოლერი (85)
მსაჯი: ხ. ტორესი (კოლუმბია)

ჩემპიონატის წინ 70 წლის კენიელ ჯადოქარს შარიფ ომარ აბუბექრის ბერტი ფოგტსისთვის შემოუთვლია, 1974 და

WorldCupUSA94



„სარბიელის" რჩეული:
**იორდან ლეჩკოვი**
(ბულგარეთი — გერმანია)

1990 წელს გერმანიას ჩემპიონობა მე ვუწინასწარმეტყველე, ახლა კი შენს თავზე შავ ღრუბლებს ვხედავ და შემიძლია დაგეხმაროო. ფოგტს უარი განუცხადებია, აქაოდა ამ ხნის კაცი ორმოცდამეცხრე...რ რომ დაქორწინდი, შენი სიტყვა როგორ ...ავიჯეროო. ნაირობელ მჩხიბავს უთქვამს, ვირო მადლიო და საცა შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა სთქვიო. ფოგტსი ალბათ ახლა განცხადებას სწერს გადადგომის თაობაზე და აფრიკელ ჯადოქარზე ფიქრობს...

„გველი გაგიზრდია უბეშიო", — გერმანელებმა უნდა სთქვან იორდან ლეჩკოვზე. სულხან-საბას ერთი არაკისა არ იყოს, „ჰამბურგის" წამყვან მოთამაშეს გერმანული ფეხბურთის სამზარეულო რომ ასწავლეს, აბა რა ეგონათ. ჩემპიონატის ოთხ თამაშში მაინც სტოიჩკოვის ჩრდილში მოქცეული, მაგრამ მოტვლეპილი თავის გარდა შესაშური ამტანობითა და შრომისმოყვარეობით გამორჩეული ბულგარელთა მეცხრე ნომერი გერმანელებთან მართლაც საუკეთესო იყო. წესითა და რიგით მარჯვენა ნახევარმცველი უტევდა კიდეც მეტოქეს, კარსაც იცავდა მათგან, ფლანგიდან ფლანგზეც გადადიოდა და გერმანელთაგან საუკეთესო ჰესლერს თუ არ აღემატებოდა, ბევრით არაფრით ჩამოუვარდებოდა. მეორე ტაიმის დასაწყისში წინადღის იუბილარი ლეჩკოვი კლინსმანის შეჩერებას შეეცადა საჯარიმოში, მაგრამ წესის დარღვევასავით გამოუვიდა და მათეუსს თავის ასმეხუთემეტე მატჩში პენალტით ოცდამეხუთე გოლი გაატანინა. მარადონასი არ იყოს, ვერც მათეუსმა გადალახა დანაწესული „აჩკო" — 21 თამაში მსოფლიო ჩემპიონატზე ვინ იცის, კენიელი მჩხიბავის გარდა, იქნებ ლიტბარსკიმაც გათვალა, ზედ ჩემპიონატის წინ გამოსული ავტობიოგრაფიულ წიგნში „ფსიქოპათი" რომ უწოდა ძველ ძმაკაცს. თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე ვერ დავეთანხმები ფიოლერს, მათეუსს რომ აქებდა თამაშის წინ, შენისთანა მონაცემების კაცმა „ლიბეროდ" 38 წლამდე არ უნდა ჩამოკიდოს ბუცებიო.

პირველ ტაიმში შებოჭილი ბულგარელები (ჯერ მარტო მეთორმეტე წუთზე (ლეჩკოვ-სტოიჩკოვ-ბალაკოვ-ძელი) ნაღდი საგოლე მომენტის გამოუყენებლობა რად ღირს!) მეორეში მათეუსის გოლის მერე გაიხსნენ და მთელს ევროპაში შეძენილი ცოდნა დაბერებულ გერმანელებს თავზე დააფრქვიეს. გერმანელთა ბოლო გასროლა 75-ე წუთზე ჰესლერის პასით საკლუბო მ...თამაშე ლარჩენილ ...ბერის ძელსმორტყმული ბურთი გახლდათ. ბულგარელები ... [illegible] ... ალარ იყვნენ და ჯერ სტოიჩკოვმა საკუთარი ოფლით მოპოვებული საჯარიმო „გარდასახა", წუთის შემდეგ კი იანკოვის პასით გაფრენილმა ლეჩკოვმა ჰესლერს დაასწრო და მელოტი თავით ცხრიანში შეუგდო ბურთი ილგნერს, რომელსაც ჩემპიონატამდე კარგა ხნით ადრე რეზო არველაძისთვის უთქვამს, ამერიკის მერე ნაკრებს თავს ვანებებო. სუბისარეტაზე „შეყვარებული" კლემენტესი არ იყოს, ფოგტსის რჩეული ილგნერი გერმანელთა შერცხვენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო.

მსოფლიო სამგზის ჩემპიონთა მარცხი სავსებით კანონზომიერია, რადგან მათ ფაქტიურად ახალი არაფერი შეუძენიათ იტალიის მერე. ის კი არა, დაუკარგავთ კიდეც: მათეუსი ვერც დაცვას შეეწყო, ნახევარდაცვასაც დააკლდა და ობლადდარჩენილი ჰესლერი მარტო ვეღარ აუდიოდა პასებსაც, საჯარიმო-კუთხურების ჩაწოდებასაც და შავი სამუშაოს შესრულებასაც. მიოლერი, ვაგნერი და ბერთოლდი კი, როგორც ზემოთ ვთქვი, კლუბების დონეს ვერ გასცილდნენ. რომ გვეგონა, ფოგტსი ფიოლერის მერე ახალ ნალმს ჩადებსო, თურმე პენსიონერი ბრემეს იმედად ყოფილა...

ამერიკაში ჩამოსული 2000 ბულგარელი გულშემატკივარი კი (ოთხჯერ მეტს ამერიკელებმა ვიზა არ მისცეს) ისე თავდავიწყებით ზეიმობდა თანამემამულეთა წარმატებას გერმანელებზე, როგორც ნახევარი საუკუნის წინათ, მატჩის კომისარი ვიაჩესლავ კოლოსკოვი კი ალბათ იმის ფიქრში იყო, ის ხუთი გაბუტული რომ შემომერიგებინა, ვინძლო ბულგარელებივით მეც მედალი გამენაღდებინაო...

მამუკა კვარაცხელია

# პენალტებიანი ბოლერო

## შვედეთი 2:2 რუმინეთი

პენალტებით 5:4

48. მეოთხედფინალი
სან-ფრანსისკო, 10 ივლისი

შვედეთი: რაველი, რ. ნილსონი, პ. ანდერსონი, ბიერკლუნდი (კამარკი 84), ლუნგი, მილდი, შვარცი, ინგესონი, ბროლინი, კ. ანდერსონი, დალინი (ლარსონი 108)
რუმინეთი: პრუნია, პეტრესკუ, ბელოდედიჩი, პროდანი, პოპესკუ, შეიმეში, მუნტეანუ (პანდურუ 84), ლუპესკუ, ჰაჯი, დუმიტრესკუ, რადუჩოიუ

1:0 ბროლინი (79)
1:1 რადუჩოიუ (88)
1:2 რადუჩოიუ (102)
2:2 კ. ანდერსონი (114)

პენალტები: მილდი (ააცილა), რადუჩოიუ 0:1, კ.ანდერსონი 1:1, ჰაჯი 1:2, ბროლინი 2:2, ლუპესკუ 2:3, ინგესონი 3:3, პეტრესკუ (მეკარე), ნილსონი 4:3, დუმიტრესკუ 4:4, ლარსონი 5:4, ბელოდედიჩი (მეკარე)
გაფრთხილება: ინგესონი (7), პოპესკუ (23), შეიმეში (25), შვარცი (43)
გაძევება: შვარცი (103, მეორედ გააფრთხილეს)
მსაჯი: ფ. დონი (ინგლისი)

მიუხედავად იმისა, რომ რუმინეთის ნაკრებმა ორი სამხრეთამერიკული გრანდი — კოლუმბია და არგენტინა — შინ გაამგზავრა, წინა ჩემპიონატთან შედარებით მხოლოდ ერთი საფეხურით წაიწია წინ. ეტყობა, ევროპულ გუნდებს მშვენივრად ჰქონდათ შესწავლილი ჰაჯისა და მისი თანაგუნდელების თამაში — რუმინეთმა ხომ შვეიცარიასთან 1:4 წააგო, გუშინწინდელ შეხვედრაში კი გარკვეულწილად იღბლის წყალობით საქმე რის-ვაივაგლახით პენალტებამდე მიიყვანა.

საკვირაო მატჩი ისევე დაიწყო, როგორც წინა შეხვედრები რუმინელთა მონაწილეობით. შვედებმა, ვისაც ტრავმირებული ტერნი აკლდათ, მყის მეტოქის საჯარიმოს მიაშურეს და უკვე მეოთხე წუთზე ინგესონის რეიდისა და ჩაწოდების შემდეგ დალინმა თაურით ბურთი ძელს გაარტყა. ბალკანელები, ტრადიციულად, სადღაც მეათე წუთისთვის გამოცოცხლდნენ და მე-14 წუთზე მილდი მატროსოვივით რომ არ გადაფარებოდა ჰაჯის დარტყმას, ტრადიციულადვე ანგარიშს გახსნიდნენ. აქ ცისხისხლიანმა სკანდინავებმა, ემოციური სა-

მხრეთამერიკელების შეცდომა არ გაიმეორეთო, რისკიან შეტევებს თავი ანებეს და მოედნის ცენტრში უპირატესობის მიღწევა ამჯობინეს, თანაც ბროლინი უფრო გამძლე აღმოჩნდა, ვიდრე ჰაჯი — „კარპატელი მარადონა", ნამდვილისგან განსხვავებით, ეფედრინს არ ხმარობს და ცოტა გადაღლილი ჩანდა.

სხვა გზა რომ აღარ იყო, მეორე ტაიმის დაწყებისთანავე რუმინელები წინ წავიდნენ, თუმცა ლუპესკუს შორეულმა დარტყმებმა და შეიმეშის ფლანგიდან ჩაწოდებებმა არა მისცათ რა, თანაც კარგად თამაშობდა რაველი, ვინც იმ დღეს ნაკრებში 115-ე მატჩი ჩაატარა და შვედეთის რეკორდი გაიმეორა. ამასობაში შვედებსაც მიეცათ გასაქანი — ბროლინის დარტყმა პრუნიამ ძლივს მოიგერია, ორ წუთში კი ინგესონის გატანილი გოლი მსაჯებმა რატომღაც არ ჩათვალეს, თუმცა 79-ე წუთზე სამართალმა პური ჭამა: შვედებმა ორიგინალურად გაათამაშეს საჯარიმო, რომელიც პროდანის მიერ დალინის წაქცევისთვის დაინიშნა. რუმინელთა მეკარე, ალბათ, შვარცის ცაციათი დარტყმას ელოდა, მაგრამ ამან ბურთს ჩაურბინა, მილდმა კი მოულოდნელად „მტრის კედლიდან" გამძვრალი ბროლინი მონახა და პარმელმა პრუნიას შანსი აღარ დაუტოვა. თამაში ასეც დამთავრდებოდა, მაგრამ მილდმა არ იკმარა ერთი საგოლე პასი და მას მეორეც მიაყოლა — ბოლოსწინა წუთზე ჰაჯის დარტყმული ბურთი სწორედ მას მოხვდა და მანამდე თითქმის უსაქმოდ მყოფ რადუჩოუს მიუვიდა: პარმელს არც მილანელი ჩამორჩა და გუნდებიც დამატებითი დროისთვის მოემზადნენ. რუმინელებს ახსოვდათ, რომ წინა ჩემპიონატის მერვედფინალში სწორედ პენალტების სერიით გამოვარდნენ და, აქამდე საქმე აღარ მივიყვანოთო, გადაწყვიტეს. თითქმის გამოუვიდათ კიდეც: 102-ე წუთზე რადუჩოუმ კვლავ მეტოქისგან, ამჯერად პატრიკ ანდერსონისგან მიილო პასი და თავისიანები წინ გაიყვანა, ერთ წუთში კი მეორე გაფრთხილება მიილო შვარცმა და ინგლისელმა დონმა იგი მოედნიდან მიაბრძანა. აღსანიშნავია შვარცის კაცური საქციელი — მან ამ ჩემპიონატზე გაძევებულთაგან პირველმა ყოველგვარი ტირილის, ვიშვიშისა და გამოთხოვების გარეშე დასტოვა მოედანი. თითქოს წყალში ჩაიყარაო შვედების ნალი, მაგრამ იტალიელთა დარად მათ ათი ..ცითაც თავბრუ დაახვიეს მეტოქეს და საყინალო სასტვენამდე 6 წუთით ადრე სამართალი კვლავ სუფრას მიუსხვს — რონალდ ნილსონის ჩაკიდებულ ბურთს კენეტ ანდერსონი უფრო მაღლა დახვდა თავით, ვიდრე პრუნია ხელებით (შეგახსენებთ, რომ თითქმის ანალოგიური გოლი კენეტ

WorldCupUSA94



„სარბიელის" რჩეული:
**თომას ბროლინი**
(შვედეთი — რუმინეთი)

ანდერსონმა ევროპის ბოლო ჩემპიონატის ნახევარფინალში ილგნერს გაუტანა). ორ წუთში კი შეცვლაზე შემოსულ ლარსონს რომ ევაჟკაცა, რუმინეთი პენალტებამდე ვერ მივიდოდა, მაგრამ იმ დღეს სამართალი აშკარად მადაზე იყო მოსული, თანაც ცნობილი კომპოზიტორის მოგვარესა და ავსტრიელი ემიგრანტის შვილს, იუბილარ რაველის ღმერთი წყალობდა. მილდმა კვლავ „თავი გამოიჩინა" და ბურთი ტრიბუნებზე დაარტყა, მაგრამ რაველიმ პეტრესკუს აული და თერთმეტმეტრიანების ანგარიშიც გაასწორა. დამატებით დარტყმებში ტიმოფტეს ოთხი წლის წინანდელი საქციელი ბელოდედიჩიმ გაიმეორა და ახლა რუმინეთი დემოკრატიის გზას რომ არ ადგეს, ხელმეორედ ემიგრირება მოუწევდა.

**ზურაბ მეძველია**



PERSONA GRATA



# იურგენ კლინსმანი

დაიბადა 1964 წლის 30 ივლისს გოპინგენში

სიმაღლე: 182 სმ, წონა 74 კგ.

კლუბები: „გინგენი", „გაისლინგენი", „შტუტგარტერ კიკერსი", „შტუტგარტი", „ინტერი" (იტალია), „მონაკო"

მიღწევები: მსოფლიოს ჩემპიონი (1990), გფრ-ს საუკეთესო მოთამაშე და ბომბარდირი (1989), უეფა-ს თასის მფლობელი (1991)

მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე — 12 მატჩი, 8 გოლი.

# ალთქმული მიწის მაძიებელი

შორს ანგარებასა და მლიქვნელობაში ჩამხრჩვალი ევროპისგან. ახალი ქვეყანაა აღმოსაჩენი, ისეთი სადაც წესიერ კაცს დაედგომება. ფეხბურთელობა დროებითია, წინ მთელი ცხოვრებაა და მან ცხრა მთას იქით უნდა განვლოს. ოთხი წლის წინ, მსოფლიოს ჩემპიონის დიდებით მოსილმა, მან რამდენიმე დღე გაძლო „ბებერ" კონტინენტზე. გერმანიაში მეტის ატანა შეუძლებელი იყო, იტალიაში რომ წასულიყო, უარესს შეეყრებოდა. პროფესიულ ფეხბურთსა და მის კულუარებში უკვე ყველაფერი ნახა, ჟურნალისტებიც მის სახლთან დღე-ღამეს ატარებდნენ, ქუჩაში ვერ გაევლო. დაიხურა ქუდი და აეროპორტისკენ გასწია. რამდენიმე საათის შემდეგ თვითმფრინავი ლოს-ანჯელესში დაეშვა, რომლიდანაც გადმოსულ ქერა გერმანელ ახალგაზრდას, არავინ იცნობდა. მან მანქანა იქირავა და ..თი თვე კალიფორნიაში იხეტიალა. ..მშვენიერი ხალხი გამოდგა კალიფორნიელები. ყოველ წუთს მზად არიან დაგეხმარონ, თავიანთი ცხოვრების რიტმი და მშვენიერი პეიზაჟები აქვთ. ერთ თვეზე მეტი მაინც ვერ გაძლო.

...სამხრეთი აფრიკა! აი მშვენიერი ადგილი. 92-ში შვებულება ნამიბიასა და სამხრეთ აფრიკაში გაატარა. აქ რასიზმი აღარ მძვინვარებს, დიდებული მომავლის მქონე კეიპტაუნი საოცარი ქალაქია, სადაც მან თავისი ახლანდელი მეგობარი ქალი გაიცნო. სულაც არ არის გამორიცხული, რომ მომავალი ამ ქვეყანას დაუკავშიროს.

ჯერჯერობით კი ფეხბურთელია. მართალია სამი წლის წინ განაცხადა ფეხბურთში აღარაფერი მესაქმებაო, მაგრამ აგერ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა. პროფესიამ ნამდვილად გაუმართლა. მის მშობლებს შტუტგარტის ცენტრში ხომ ტკბილეულობის მაღაზია ჰქონდათ და თექვსმეტი წლის იურგენიც მეფუნთუშეობის კურსებზე მიიყვანეს. ხომ გაგიჟდებოდა, ყოველ ღამე, სამ საათზე რომ იყოს ასადგომი და დილისთვის ლვეზელი ან ნამცხვარი ჰქონდეს გამოსაცხობი. ახლა სხვა გეგმები აქვს. მან ოთხი ენა იცის: გერმანული, ინგლისური და იტალიური სრულყოფილად, ფრანგული — საკმაოდ კარგად. მას სურს რამენაირად ენების ცოდნა არ დაეკარგოს, მაგრამ როგორ? მოიფიქრებს რამეს, დღევანდელ მსოფლიოში ხომ პოლიგლოტობა აუცილებელი გახდა. ერთზე წყდება გული, რომ ესპანური ვერ ისწავლა, არადა შანსი ჰქონდა. მას ხომ მადრიდის „რეალი" იწვევდა, მაგრამ მისმა იმდროინდელმა გუნდმა „ინტერმა" და „რეალმა" ვაჭრობა გააბეს, ლეო ბეენჰაკერი, მწვრთნელი, რომელიც სამეფო კლუბში იწვევდა, თანამდებობიდან გადადგა. არა უშავს, როგორც ფეხბურთელს ბევრი არაფერი დაკლებია. ახლა რომ იგონებს მაშინ ესპანეთის ან საფრანგეთის რომელიმე წამყვან გუნდში უნდოდა თამაში და აკი „მონაკოში" გადავიდა კიდეც.

ხშირად ეკითხებიან იტალიურ და ფრანგულ ფეხბურთს შორის ხომ დიდი სხვაობააო. არა, — პასუხობს კლინსმანი — ორივეგან სწრაფ, ძალისმიერ და ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ, საქმისადმი მიდგომა კი მართლაც სხვადასხვაა. იტალიაში მთავარია გოლი არ გაუშვან, საფრანგეთში და ჩემს სამშობლოში, გერმანიაში კი ასე რომ იყოს სტადიონზე კაციშვილი არ მივიდოდა, რადგან ამ ქვეყნებში სანახაობა სურთ". იურგენს ეცინება, როცა ეუბნებიან იტალიის ლიგაში ახალი, შემტევი ტალღა მოდისო. „მილანმა" სცადა ეს, მაგრამ საბოლოოდ შედეგებს მაინც დაცვითი თამაშით აღწევს. „პარმა" და „ფოჯა" უტევენ, მაგრამ ორი გუნდი ზღვაში წვეთია."

პირფერობა — ყველაზე მეტად პირფერობას ვერ იტანს. „მონაკოში" პირველსავე სეზონში ბაზილ ბოლის მიერ მოქნეულმა იდაყვმა იგი კინაღამ მოკლა. ექიმ..ის რომ არ ეშველათ ენას ყლაპავდა. სა..ლში რომ მილასლასდა და ტელევიზო..ი ჩართო გაოგნდა, ერთმა სპორტულმა პროგრამამაც არ აჩვენა ის მომენტი. გასაგებია, რომ ბოლი საფრანგეთში ძლიერ პოპულარულია, მაგრამ თავის ასეთი მოქონვა, აქაოდა შენ არაფერი დაგიშავებიაო გაგონილა? ფეხბურთელისგან ისე არ წყენია, პირმოთნე ჟურნალისტებისგან რომ ეწყინა. კიდევ კარგი, მესამე დღეს საფრანგეთის მეორე არხმა როგორც სინამდვილეში იყო, ყველაფერი ისე გადასცა. ფედერაციას რაღა უნდა ექნა, ბოლის ერთი ხნით თამაში აუკრძალეს.

კლინსმანი მონაკოში სოფელ ლა ტურბში ცხოვრობს, ფერდობის წვერზე. აქედან გუნდის საწვრთნელ ბაზამდე ახლოა. მისი „პორშეთი" ეს გზა ერთიორად მოკლდება, არადა იყო დრო შტუტგარტში ძველ ჯაბახანას რომ დაატარებდა. მას ბავშობიდან ეტყობოდა ფეხბურთის ნიჭით რომ იყო დაჯილდოებული. ერთხელ, ცხრა წლისამ „გინგენის" ბავშვთა გუნდის შემადგენლობაში ერთ თამაშში თხუთმეტი გოლი გაიტანა. მისმა უფროსმა ძმამ, ჰორსტმა, რომელიც ჭოკით მხტომელი გახლდათ, იურგენის წვრთნას თავად მოკიდა ხელი. მან უმცროს ძმას სწორედ, უეცარი აჩქარება-შენელებებით სირბილი ასწავლა. შემდეგ კი დაიწყო აღმასვლა. „შტუტგარტში" ხუთი სეზონის განმავლობაში ბუნდესლიგაში 15, 16, 16, 19 და 14 ბურთი შეაგდო. ფრანც ბეკენბაუერმა ნაკრებში მიიწვია...

მსოფლიოს ჩემპიონატი რომ მორჩება, ორ კვირაში იგი ოცდაათი წლისა გახდება. პროფესიულ ფეხბურთსა და მის კულუარებში ყველაფერი ნახა, იგემა დიდება და ტკბილი ცხოვრების სიამე, მაგრამ ვერ მოუსვენია. ისეთ მხარეს ეძებს სადაც ანგარება და თვალთმაქცობა ჰპატიოსნებას და ერთგულებას ჰყავს დაჩრდილული, სადაც ხალხი ისევე როგორც იგი, საპატიმროებში უცნობ ადამიანებთან ივლის და ტუსაღების ხვედრის შემსუბუქებას ეცდება.

**ილია ბაბუნაშვილი**

# ბელარუსი! ირანი! მოლდოვა?

მეშვიდე თვეა, საქართველოს ოლიმპიურ (ახალგაზრდულ) ნაკრებს სათავეში უდგას შოთა ჭეიშვილი. ნაკრები, მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისა და ატლანტის ოლიმპიადისთვის ემზადება, პირველ მატჩს კი 6 სექტემბერს თამაშობს შინ მოლდოვასთან, ამიტომ საერთაშორისო შეხვედრები ჩვენს ბიჭებს ფასდაუდებელ სამსახურს უწევს. შოთა ჭეიშვილს ვახტანგ კოპალეიშვილი და ელგუჯა გუგუშვილი ეხმარებიან. მთავარი მწვრთნელი მოკლედ გვიყვება ექვსთვიანი მუშაობისა და ბელარუსული და ირანული ტურნეების შესახებ.

— ოთხ ათეულზე მეტი ფეხბურთელი გამოვცადეთ, ძიება კვლავაც გრძელდება და ნაკრების კარი ღირსეულთათვის მუდამ ღია იქნება. ამ ტურნეებამდე მხოლოდ ჩვენს ჩემპიონატში მონაწილე გუნდები გვყავდა მეტოქედ: „დინამო", „შევარდენი", „მეტალურგი", „არმაზი 90", „კრწანისი". მიუხედავად იმისა, რომ ამ მატჩების უმეტესობა ჩვენი გამარჯვებით დასრულდა, კმაყოფილი მაინც არ ვიყავი ფეხბურთელთა ფიზიკური მომზადებით და ბელარუსის და ირანის ტურნეებმა ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა. ორივეგან შემდეგი ფეხბურთელები წავიყვანეთ: მეკარეები ჯანელიძე (მრეტები) და გვარამაძე (დინამო), მინდვრის მოთამაშეები: გოგიტაძე (შევარდენი), ბურნაძე, ღუდუშაური (მეტალურგი), შალვა ხუჯაძე, კიკნაძე, ანჩაბაძე (დინამო), კარიაული, მესტუმრე (კრწანისი), ბუცურეიშვილი, გამცემლიძე, რუხვაშვილი (გურია), შუბითიძე და ზირაქიშვილი (თეთრი არწივი). მინსკში პირველი მატჩის მიწურულს გაშვებული პენალტით დავმარცხდით 0:1. მასპინძლები ჩინებული ათლეტური მომზადებით გამოირჩევიან, საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება აქვთ, მაგრამ ჩვენებმა საკმაოდ კარგად ჩაატარეს ეს მატჩი, თუმცა ჩვენი უპირატესობა გოლებში ვერ გამოიხატა. ორ დღეში ბობრუისკში უმაღლესი დივიზიონის „შინიკს" შევხვდით და პირველ ტაიმში გამცემლიძის მიერ გატანილი გოლის წყალობით გავიმარჯვეთ. მატჩზე დამსწრე ქართველმა მეღვინეებმა ჯგუფმა ორივე გუნდს ბანკეტიც გაგვიმართა.

მინსკიდან თბილისში 26 ივნისს ჩამოვფრინდით და მეორე დღესვე თეირანს გავემგზავრეთ. ირანელები ჩინებულად დაგვხვდნენ. პირველი მატჩი 28 ივნისს თეირანის 100 000 სტადიონზე იქაურ ოლიმპიელებთან ფრედ, 2:2 დავასრულეთ, ჩვენგან გოლები ჯიქიამ და [illegible] გაიტანეს. მეორე მატჩში ოლიმპიურ ნაკრებს შევხვდით და 4:1 მოვიგეთ, ორი ბურთი ანჩაბაძემ გაიტანა, თითოც — ღუდუშაურმა და კიკნაძემ. მესამე მატჩი ორ ივლისს ვითამაშეთ და კვლავ ოლიმპიურ ნაკრებთან — 1:1 (ანჩაბაძე). აღსანიშნავია, რომ მეტოქე ყველა მატჩში ახალ-ახალ ფეხბურთელთა მთელ ჯგუფს იმატებდა. მიუხედავად დასვენებული ძალებით გაძლიერებისა, ყველა მატჩს ჩვენ ვიგებდით და როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უკეთესი ფიზიკური მომზადების წყალობით მეტოქე ახერხებდა ანგარიშის გათანაბრებას. ჩვენი ირანში ყოფნისას ჩამოსული იყო ცნობილი რუსი მწვრთნელი გენადი კოსტილევი, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა იქაური ფეხბურთის ფედერაციასთან. 25 ივლისს, როდესაც ირანის ოლიმპიური ნაკრები საპასუხო ვიზიტით გვეწვევა და თბილისში სამ მატჩს გამართავს, შესაძლოა გუნდს სათავეში უკვე კოსტილევი ედგეს...

ამ ხუთმა მატჩმა სარკესავით წარმოაჩინა ჩვენი პრობლემები, თავად ბიჭებიც დარწმუნდნენ, რომ თუ ფიზიკურად ძლიერად არ ხარ მომზადებული, მხოლოდ ტექნიკისა და ტაქტიკის ხარჯზე ფონს ველარ გახვალ, მსოფლიო ჩემპიონატი ამის ყველაზე ნათელი დადასტურებაა.

აქვე მინდა აღვნიშნო „შევარდენის" ფეხბურთელის ზაზა ჯანაშიას გაუგებარი საქციელი, როდესაც მან თავი აარიდა ნაკრებში თამაშს, ამ ნიჭიერ ფეხბურთელს ბევრის გაკეთება შეუძლია, თუმცა ასეთი საქციელით თავსაც დაიღუპავს და ვერც ჩვენ ფეხბურთს გამოადგება.

6 სექტემბრამდე ათდღიანი შეკრება კიდევ გვექნება, ფედერაცია ყოველნაირად გვეხმარება, რომ ქართველ გულშემატკივარს სიხარული მოვუტანოთ...

**P.S.** სხვათა შორის, ირანის ნაკრების ხელმძღვანელობას ჩვენი დელეგაციის თავკაცები მინი-ფეხბურთის მატჩში გამოუწვევია, ჭეიშვილის, გუგუშვილის, კოპალეიშვილის გარდა გუნდში სფფ-ს საერთაშორისო განყოფილების უფროსი დავით პეტრიაშვილიც ყოფილა, „მწვრთნელად" — ბატონი ნოდარ ახალკაცი. ქართველებს არ შევურცხვენივართ და 6:3 ..გიათ.

**დავით მუჯირი**

# ტურნე ბალტიისპირეთში

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის, რომელიც 20 ოქტომბერს დაიწყება, ემზადება საქართველოს ჭაბუკთა (18 წლამდე) ნაკრებიც. ნაკრებს სათავეში უდგას ნიკა ამირეჯიბი, მას ეხმარებიან თენგიზ სულაქველიძე და თენგიზ კაცია. ფეხბურთის ფედერაციის თაოსნობით ნაკრები ბალტიისპირეთში, ქალაქ ზელენოგორსკში იყო მივლინებული შეკრებაზე. ნიკა ამირეჯიბმა ლაკონურად გვაუწყა ტურნეს შედეგები რუსეთის ჩემპიონატში მონაწილე გუნდებთან: „სმენა-სატურნი" — საქართველო 2:1 (დემეტრაძე), „პრიმორსკი" — საქართველო 1:5 (რევაზიშვილი, გემზაშვილი, იაშვილი, ხუტაშვილი, დემეტრაძე), „ზვეზდა" — საქართველო 1:0. მთავარმა მწვრთნელმა აღნიშნა, რომ სამუშაო კვლავაც ბევრია და იგი შეგნებულად თავს იკავებს მოთამაშეთა ჩამოთვლისაგან, რადგან ძიება გრძელდება.

# თქვენით, სხვა ეშხიო...

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები (16 წლამდე, მთავარი მწვრთნელი გაიოზ დარსაძე, მწვრთნელი ოთარ რუხაძე) 26 ივნისიდან 5 ივლისამდე პალანგაში იმყოფებოდა და საერთაშორისო ტურნირზე მესამე ადგილიც დაიკავა. ნაკრები, მოგეხსენებათ, ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, რომლის შესარჩევი ტურნირიც სლოვენიაში გაიმართება საქართველოს, ამ ქვეყნის ნაკრებსა და სომხეთს შორის). ტურნირის შესახებ გვესაუბრება გაიოზ დარსაძე:

— პირველ რიგში ნაკრების შემადგენლობას გაგაცნობთ. მეკარეები: ხაჩირაშვილი და კუპატაძე (თბილისი), მინდვრის მოთამაშეები: რცხილაძე (გაგრა), ბაჯელიძე, გვაზავა, ხუციშვილი, წერეთელი, ყიფიანი, ალექსიძე, იოსავა, შენგელია, ფარქოსაძე (თბილისი), ფეზუაშვილი, კაიდარაშვილი (გორი), ებრალიძე (ლანჩხუთი), წიტაიშვილი (ზუგდიდი), ჩომახიძე (სამტრედია). ჯგუფში ვძლიეთ ლატვიას 2:0 (წიტაიშვილი, შენგელია), ესტონეთს 7:0 (შენგელია — 4, წიტაიშვილი, ფარქოსაძე, ჩომახიძე), ფრედ ვითამაშეთ ლიტვასთან 0:0. ბურთების უკეთესი სხვაობით (მასპინძლებს აშკარად „დაუწვნენ") ფინალში ლიტვა გავიდა, ჩვენ კი მესამე ადგილისთვის ლიტვის მეორე გუნდი დავამარცხეთ 4:1. ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გორელი პაატა ფეზუაშვილი გახდა, საუკეთესო ბომბარდირი — რამაზ შენგელიას ვაჟი — გიორგი — 7 გოლი. მასპინძლები დიდ მადლობას გვიხდიდნენ, აზერბაიჯანელებიც მოვიწვიეთ და არ ჩამოვიდნენ, თქვენი ჩამოუსვლელობით კი ტურნირი ეშხს დაკარგავდაო.

19 ივლისს პირველი ოფიციალური მატჩი გველის სლოვენიაში, ნაკრების ბირთვი ძირითადად გარკვეულია, მაგრამ ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა ნიჭიერ ფეხბურთელ დავით პეტრიაშვილზე, რომელიც ამ ტურნირზე ფეხის ტრავმის გამო ვერ წავიყვანეთ. ყველა ღონეს ვხმარობთ, რათა იგი ნაკრებში მოხვდეს და სრულად გაიხსნას, მაგრამ თუ თვითონ არ მოინდომა, არაფერი გამოუვა და ეს უნიჭიერესი მქონე ფეხბურთელი აღარ გაიზრდება.

დასასრულს მინდა მადლობა გადავუხადო ფეხბურთის ფედერაციას, დიდი გაჭირვების მიუხედავად ყოველ ღონეს რომ ხმარობს ჩვენი ნაკრების კეთილდღეობისათვის.

**თეონა ფალავანდიშვილი**
**მაია მენთეშაშვილი**

ფეხბურთი

# საქართველოს მეექვსე ჩემპიონატის კალენდარი

## პირველი ჯგუფი, პირველი წრე

**I ტური, 14 აგვისტო, კვირა**
დინამო — დურუჯი ყვარელი
კოლხ. 1913 ფოთი—კახეთი თელავი
ტორპედო ქუთ.—სამგურალი წყალტ.
სამტრედია — საპოვნელა თერჯოლა
დინამო ბათუმი — დინამო ზუგდიდი
გურია ლანჩხუთი — ივერია ხაშური
მარგვეთი ზესტაფონი — დილა გორი
**15 აგვისტო, ორშაბათი**
შევარდ. 1906 —მეტალურგი რუსთავი
**II ტური, 20 აგვისტო, შაბათი**
დურუჯი — დილა
ივერია — მარგვეთი
მეტალურგი — გურია
ზუგდიდი — შევარდენი 1906
საპოვნელა — ბათუმი
სამგურალი — სამტრედია
კახეთი — ტორპედო
დინამო — კოლხეთი 1913
**III ტური, 27 აგვისტო, შაბათი**
კოლხეთი 1913 — დურუჯი
ტორპედო — დინამო
სამტრედია — კახეთი
ბათუმი — სამგურალი
შევარდენი 1906 — საპოვნელა
გურია — ზუგდიდი
მარგვეთი — მეტალურგი
დილა — ივერია
**IV ტური, 10 სექტემბერი, შაბათი**
დურუჯი — ივერია
მეტალურგი — დილა
ზუგდიდი — მარგვეთი
საპოვნელა — გურია
სამგურალი — შევარდენი 1906
კახეთი — ბათუმი
დინამო — სამტრედია
კოლხეთი 1913 — ტორპედო
**V ტური, 18 სექტემბერი, კვირა**
ტორპედო — დურუჯი
სამტრედია — კოლხეთი 1913
შევარდენი 1906 — კახეთი
გურია — სამგურალი
მარგვეთი — საპოვნელა
დილა — ზუგდიდი
ივერია — მეტალურგი
**19 სექტემბერი, ორშაბათი**
ბათუმი — დინამო
**VI ტური, 23 სექტემბერი, პარასკევი**
დინამო — შევარდენი 1906
**24 სექტემბერი, შაბათი**
დურუჯი — მეტალურგი
ზუგდიდი — ივერია
საპოვნელა — დილა
სამგურალი — მარგვეთი
კახეთი — გურია
კოლხეთი 1913 — ბათუმი
ტორპედო — სამტრედია
**VII ტური, 1 ოქტომბერი, შაბათი**
სამტრედია — დურუჯი
ბათუმი — ტორპედო
შევარდენი 1906 — კოლხეთი 1913
გურია — დინამო
მარგვეთი — კახეთი
დილა — სამგურალი
ივერია — საპოვნელა
მეტალურგი — ზუგდიდი
**VIII ტური, 15 ოქტომბერი, შაბათი**
დურუჯი — ზუგდიდი
საპოვნელა — მეტალურგი
სამგურალი — ივერია
კახეთი — დილა
დინამო — მარგვეთი
კოლხეთი 1913 — გურია
ტორპედო — შევარდენი 1906
სამტრედია — ბათუმი
**IX ტური, 23 ოქტომბერი, კვირა**
ბათუმი — დურუჯი
შევარდენი 1906 — სამტრედია
გურია — ტორპედო
მარგვეთი — კოლხეთი 1913
დილა — დინამო
ივერია — კახეთი
მეტალურგი — სამგურალი
ზუგდიდი — საპოვნელა
**X ტური, 28 ოქტომბერი, პარასკევი**
დურუჯი — საპოვნელა
სამგურალი — ზუგდიდი
კახეთი — მეტალურგი
დინამო — ივერია
კოლხეთი 1913 — დილა
ტორპედო — მარგვეთი
სამტრედია — გურია
ბათუმი — შევარდენი 1906
**XI ტური, 6 ნოემბერი, კვირა**
შევარდენი 1906 — დურუჯი
გურია — ბათუმი
მარგვეთი — სამტრედია
დილა — ტორპედო
ივერია — კოლხეთი 1913
მეტალურგი — დინამო
ზუგდიდი — კახეთი
საპოვნელა — სამგურალი
**XII ტური, 19 ნოემბერი, შაბათი**
დურუჯი — სამგურალი
კახეთი — საპოვნელა
დინამო — ზუგდიდი
კოლხეთი 1913 — მეტალურგი
ტორპედო — ივერია
სამტრედია — დილა
ბათუმი — მარგვეთი
**20 ნოემბერი, კვირა**
შევარდენი 1906 — გურია
**XIII ტური, 27 ნოემბერი, კვირა**
გურია — დურუჯი
მარგვეთი — შევარდენი 1906
დილა — ბათუმი
ივერია — სამტრედია
მეტალურგი — ტორპედო
ზუგდიდი — კოლხეთი 1913
საპოვნელა — დინამო
სამგურალი — კახეთი
**XIV ტური, 1 დეკემბერი, ხუთშაბათი**
დურუჯი — კახეთი
დინამო — სამგურალი
კოლხეთი 1913 — საპოვნელა
ტორპედო — ზუგდიდი
სამტრედია — მეტალურგი
ბათუმი — ივერია
გურია — მარგვეთი
**2 დეკემბერი, პარასკევი**
შევარდენი 1906 — დილა
**XV ტური, 5 დეკემბერი, ორშაბათი**
მარგვეთი — დურუჯი
დილა — გურია
ივერია — შევარდენი 1906
მეტალურგი — ბათუმი
ზუგდიდი — სამტრედია
საპოვნელა — ტორპედო
სამგურალი — კოლხეთი 1913
კახეთი — დინამო


# ტოტოლოტო
## საფეხბურთო პროგნოზი

**სპეცტირაჟი № 07**
13-19 ივლისი

| | |
|---|---|
| 1 | ბრაზილია – შვედეთი |
| 2 | ბრაზილია – შვედეთი (I ტ) |
| 3 | ბრაზილია – შვედეთი (II ტ) |
| 4 | იტალია – ბულგარეთი |
| 5 | იტალია – ბულგარეთი (I ტ) |
| 6 | იტალია – ბულგარეთი (II ტ) |
| 7 | III-IV ადგილები ბრაზილია(შვედეთი)-იტალია(ბულგარ.) |
| 8 | ფინალი ბრაზილია(შვედეთი)-იტალია(ბულგარ.) |
| 9 | საქართველო—მალტა (0:1) |
| 10 | საქართველო—მალტა (0:1) (I ტ) |
| 11 | საქართველო—მალტა (0:1) (II ტ) |

შენიშვნა: მალტას მიცემული აქვს ერთბურთიანი ფორა

**ყურადღება**

№ 07 ტირაჟში შეტანილია ცვლილებები. 11 შედეგის გამომცნობებისათვის მოგება კვლავ 500 000 მანეთია თითოეულზე. იმ შემთხვევაში, თუ 11 შედეგი ვერავინ გამოიცნო, 10 შედეგის გამომცნობებს მიეცემათ „სანუგეშო" პრემია 100 000 მანეთი. კუპონებზე მოთამაშეებისათვის მოგების ფონდი გახდა 50 000 000 კუპონი, ვარიანტის ფასი 10 000 კუპონი. იმ შემთხვევაში, თუ 11 შედეგი ვერავინ გამოიცნო, 10 შედეგის გამომცნობებს მიეცემათ 5 000 000 კუპონი.

№ 07 ტირაჟში ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადაა ოთხშაბათი, 13 ივლისი, 16 საათი. თბილისში — ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში, რუსთავში — კინოთეატრ „რუსთაველთან".

ტელეფონი: 96-32-61


მძლეოსნობა



# ბარელი: 9,85

ოთხშაბათს გაუმჯობესდა 100 მეტრზე რბენის ვაჟთა მსოფლიო რეკორდი. 1991 წლის მსოფლიო პირველობაზე ამერიკელი კარლ ლუისის მიღწევას ერთი მეასედი წამი ჩამოაჭრა მისმა თანაკლუბელმა – კლუბ „სანტა-მონიკას" წევრმა ლეროი ბარელმა. ახალი რეკორდი – 9,85 წამი – ბარელმა ლოზანის შეჯიბრების დროს დაამყარა.

ამ პარასკევისთვის ლონდონის „კრისტალ პელისის" სტადიონზე დანიშნული იყო ბარელ – ლინფორდ კრისტის დუელი, მაგრამ ვინაიდან გულუხვი სპონსორი ვერ მოიძებნა, ამ ორი სპრინტერის უახლოესი შეჯიბრი თვის ბოლოს, პეტერბურგში გასამართ „კეთილი ნების" თამაშებზე თუ შედგება.

ფორმულა 1

# რაც მამამ ვერ შეძლო

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ორი პილოტის მსხვერპლად შეწირვა ყოფილა საჭირო, რომ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის მანამდე გულხელდაკრეფილ თავკაცებს ყურები გამოებერტყათ და ტრასების უსაფრთხოებისათვის მიეხედათ. ყველაზე რადიკალური ცვლილება ინგლისის „სილვერსტოუნმა" განიცადა. გამოყოფილი მილიონი გირვანქა სტერლინგი ოციოდე დღეში აითვისეს, რის შედეგადაც სამი ისეთი ახალი ვირაჟი „გაჩნდა", წრე 170 მეტრით რომ დაამოკლა და სიჩქარეც დააცხრო.

დიდი ბრიტანეთის „გრან-პრის" გათამაშება 1926 წლიდან ეწყობა. ამ ერთ-ერთ ყველაზე სტაჟიან შეჯიბრებას სილვერსტოუნის გარდა მასპინძლობდა ბრუკლინის, დონინგტონის, ეინტრისა და ბრენდს პეჩის ავტოდრომები. ყველაზე მეტჯერ – ხუთ-ხუთჯერ გაუმარჯვნიათ ლეგენდარულ ბრიტანელს ჯიმ კლარკს და „პროფესორ" ალენ პროსტს. ისიცაა აღსანიშნი, რომ მშობლიურ ტრასებზე 17-ჯერ (!) უასპარეზია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს გრეჰემ ჰილს, მაგრამ ერთხელაც ვერ მოუხერხებია მოგება. და აი, ის, რაც სახელოვანმა მამამ ვერ შეძლო, მეორე ცდიდან განახორციელა 32 წლის დეიმონ ჰილმა.

„უილიამსის" ბრიტანელმა პილოტმა ორდღიანი კვალიფიკაციის შედეგად სტარტზე პირველი პოზიცია არავის დაანება. მეორე დრო აჩვენა გერმანელმა მიხაელ შუმახერმა („ბენეტონი"), შემდეგ იდგნენ ავსტრიელი გერჰარდ ბერგერისა და ფრანგი ჟან ალეზის „ფერარები". მეორე „უილიამსის" საჭეს ისევ დევიდ კულტჰარდი უჯდა. კრიზისის დასაძლევად გუნდში ნაიჯელ მენსელის დაბრუნება დროებითი და გაუმართლებელი ნაბიჯი გამოდგა და ფრენკ უილიამსი კვლავ [illegible] შეიქნდო. 23 წლის შოტლანდიელმაც ბოლს [illegible] არ [illegible] [illegible] ფი[illegible] თავიდანვე ყურადღებით იყო და წინა ეტაპისაგან განსხვავებით, ამჯერად შუმახერს გასწრების საშუალება არ მისცა. გერმანელი მთელი 15 წრე ამაოდ ცდილობდა ლიდერისთვის გვერდის ავლას და მხოლოდ მას შემდეგ მოახერხა ეს, როცა ბრიტანელმა ბოქსებში შეუხვია საბურავების შესაცვლელად. შუა დისტანციამდე შუმახერი სათავეში ედგა რბოლას, მაგრამ გასახურებელ წრეზე გასწრებისათვის ხუთწამიანმა ჯარიმამ მოუსწრო, რაც ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა. მეორედ დაწინაურებულმა ჰილმა კი დიდი მანძილით ჩამოიტოვა მთავარი კონკურენტი და ფინიშამდე მშვიდობიანად მივიდა. ჰილმა, როგორც იქნა, აისრულა საკუთარი და სახელოვანი მამის ოცნება – ჰილების დინასტიამ ბოლოსდაბოლოს, მე-19 ცდაზე შეძლო მშობლიური „გრან-პრის" დასაკუთრება. ეს იყო დეიმონის მეხუთე მოგებული „დიდი პრიზი" 26 რბოლიდან.

10 ივლისი. დიდი ბრიტანეთის „გრან-პრი". სილვერსტოუნის ავტოდრომი. წრის სიგრძე 5057 მ. 61 წრე (308,477 კმ). უსწრაფესი წრე — დეიმონ ჰილი („უილიამსი") — 1.27,1 (209,01 კმ-სთ).

1. დეიმონ ჰილი (ბრიტანეთი, „უილიამსი"); 2. მიხაელ შუმახერი (გერმანია, „ბენეტონი"); 3. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ფერარი"); 4. მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „მაკლარენი"); 5. რუბენს ბარიჩელო (ბრაზილია, „ჯორდანი"); 6. დევიდ კულტჰარდი (შოტლანდია, „უილიამსი").

საერთო ჩათვლა: 1. შუმახერი—72 ქულა, 2. ჰილი—39, 3-4. ალეზი და გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი")—17, 5. ბარიჩელო—9, 6. ჰაკინენი—7, 7-8. ნიკოლა ლარინი (იტალია, „ფერარი") და მარტინ ბრანდლი (ბრიტანეთი, „მაკლარენი")—6.

რაგბი

# ზელანდიელთა ვნებათღელვა

ოთხ, 29.VI. ნეპირი. პოქის ბეი 30 — საფრანგეთი 25

შაბ, 2.VII. ინვერკარგილი. საუთლენდი 15 (8) (2ლ;) — სამხრეთი აფრიკა 51 (19) (8ლ: ბადენჰორსტი - 3, რიხტერი - 2, მერი, კრუგერი, აფერტონი;..).

ჰამილტონი. „რანფერლის ფარის" დაცვა. ვაიკატო (მფლობელი) 26 — მანავატუ 11

კვი, 3.VII. ოკლენდი. მეორე ტესტი. ახალი ზელანდია 20 (9) (ლ: ფიტსპატრიკი; 5ს: მ. კუპერი) — საფრანგეთი 23 (13) (2ლ: ნტამაკი, სადურნი; 2გ, 3ს: ლაკრუა)

სამ, 5.VII. თიმარუ. ჰანანის ფარი (სამხრეთი და შუა კენტებრისა და ჩრდილოეთი ოტაგოს ნაკრები) 19 — სამხრეთი აფრიკა 67 (11ლ: შარელი - 2, ბადენჰორსტი - 2, ვანრენსბერგი - 2)

შაბ, 9.VII. პირველი ტესტი. დანიდინი. ახალი ზელანდია 22 (12) (ლ: კერვინი; გ, 5ს: ჰოვარდი) — სამხრეთი აფრიკა 14 (3) (ლ: სტროილი; 3ს: ჟუბერი)

ახალი ზელანდიის რაგბში ამბოხი იყო მოსალოდნელი. ნაკრებმა ზედიზედ სამი ტესტი წააგო, მათგან ორი – საკუთარ მოედანზე, რაც აქამდე უკანასკნელად 1949 წელს მომხდარა, როცა ავსტრალიელმა „ვოლაბებმა" „ოლ ბლექსს" მისსავე მოედანზე ტესტ-სერიაში 11:6 და 16:9 მოუგეს.

ფრანგებთან პირველი ტესტის 8:22 წაგების შემდეგ მასპინძლებმა დაითხოვეს ახალბედა 10 ნომერი მანიქსი და 8 ნომერი პენე და მათ ნაცვლად გუნდში სამოელი სტივენ ბეშოფი და მაორი ზინზან ბრუკი დააბრუნეს. მართლაც, „ოლ ბლექსმა" მეორე ტესტში უფრო მწყობრად ითამაშა, ინიციატივაც მეტწილად ხელთ ეპყრა, მაგრამ მაინც ვერაფერი მოუხერხა ფრანგთა სილაღეს. გარდა ამისა, გუნდი დაალალატა დამრტყმელმა კუპერმა, ვისაც ოდენ 50-პროცენტიანი შედეგი ჰქონდა.

შესვენებამდე სტუმართა მარჯვენა გარემარბმა ნტამაკმა შანსი ხელიდან არ გაუშვა, როცა მეტოქეს გადაცემა ჩაუჭრა. ლაკრუამ კარისკენ რამდენიც დაარტყა, იმდენი ბურთი შეაგდო. თავიანთი კვაჭი კაპიტნის – შონ ფითსპატრიკის მიერ შეგულიანებული ზელანდიელები მეორე ნახევარში დაწინაურდნენ, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე სამი წუთი რომ რჩებოდა, მეტოქის 22-მეტრიან მოედანში მოგებული ბურთი ფრანგებმა ჯერ მარჯვნივ გაათამაშეს, მერე – მარცხნივ და მცველმა ჟან-ლუკ სადურნიმაც გაიტანა ლელო, რომელიც ლეგენდარული სერჟ ბლანკოს მიერ 1987 წელს პირველი მსოფლიო თასის ნახევარფინალში ავსტრალიასთან გატანილი გადამწყვეტი ლელოს ბადალი იქნება, რაკილა მისი წყალობით საფრანგეთმა ტესტ-სერია პირველად (!) მოუგო ახალ ზელანდიას და ისიც სტუმრად.

სამაგიეროდ, თავი შეირცხვინა საფრანგეთის ლიგის რაგბის ნაკრებმა, რომელმაც პაპუასეთის მოვლის შემდეგ ჯერ ავსტრალიას მიაშურა, ბოლოს კი ფიჯსაც ეწვია. პაპუა ახალ გვინეაში ლიგელმა „მამლებმა" ოთხი თამაშიდან სამი წააგეს, მათ შორის ტესტიც – პორტ-მორსბიში 22:2?. სიდნეიში ტურისტები გაანადგურეს ლიგის [illegible] მსოფლიო ჩემპიონმა „კენგურუებმა" 58 (12ლ) : 0, სუვაში კი პროფესიულ რაგბს ახლად ნაზიარებმა ფიჯელებმაც დაიბრიყვეს ფრანგი სტუმრები 20:12. ეს მაინცდამაინც არაა გასაკვირი, რაკილა ფრანგული ლიგის რაგბი 1950-იან წლებში წარმოადგენდა ანგარიშგასაწევ ძალას, მას შემდეგ კი შესამჩნევად დაკნინდა.

„ოლ ბლექსში" დიდი წმენდა იყო მოსალოდნელი. მსოფლიო თასამდე 11 თვეღა რჩება, გუნდს კი სტუმარ სამხრეთაფრიკელებთან პირველი ტესტი ელოდა ოტაგოს მთავარ ქალაქ დანიდინში. „ქურციკებს" ტესტამდე ხუთი მატჩი გაემართათ და ხუთივე მოეგოთ, მაგრამ ველინგტონთან თამაშისას მათ კაპიტან ფრანსუა პინარს უკვე მერამდენედ შერყეოდა ტვინი, რის გამოც საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად სამი კვირა უქმად უნდა იყოს. ახალი ზელანდია – სამხრეთი აფრიკის მეორე ტესტი 23 ივლისისთვისაა დანიშნული. პინარს ამ დროისთვის თამაშის უფლება უკვე ექნება, დანიდინის „კარისბრუკ პარკზე" კი პინარი შერკინების ფრთაზედაცა და კაპიტნადაც შეცვალა ტიაან სტრაუსმა, რომელიც ჩვეულებრივ რვა ნომრად თამაშობს ხოლმე.

მასპინძლებმა გუნდი სამოელებით აავსეს. შუამარბ ბანსს მეწყვილედ თანამემამულე ალამა იერემია დაუყენეს, 10 ნომერ სტივენ ბეშოფს კი 9 ნომრად მისივე ძმა გრემ ბეშოფი დაუნიშნეს. მცველობა და დამრტყმელობა ჩააბარეს შეინ ჰოვარდს, რომელიც ახალბედა არაა, მაგრამ ტესტში პირველად თამაშობდა.

დანიდინში თამაშის წინადღით ათი გრადუსი ყინვა იდგა და თოვლიანი ქარბუქი მძვინვარებდა. მატჩის დღეს მზემ გამოანათა და საგრძნობლად დათბა. სტადიონზე 41 ათასი კაცი შეიკრიბა: ახალზელანდიელებს მონატრებოდათ „ქურციკები", [illegible]ელთა წინა ტურნეც, 1981 წელს რომ მართა, ფაქტიურად ანტი-აპარტჰეიდულ დემონსტრაციების ჩახშობას მოხმარდა – მაშინ რაგბისთვის არავის სცხელოდა. ბილეთების გაყიდვის შემოსავალმა ზელანდიური რაგბის ისტორიაში პირველად შეადგინა მილიონი დოლარი.

თავიდან სტუმრებმა შეუტიეს, მაგრამ ლელოს გატანის სამი შანსი ხელიდან გაუშვეს. მე-15 წუთზე ჟუბერმა საჯარიმო შეაგდო, მაგრამ ჰოვარდმა, ვისაც მანამდე ერთხელ მოეცარა ხელი, ნერვები მოთოკა და შესვენებამდე ოთხი გოლი გაიტანა.

თამაშის განახლებისთანავე „ქურციკებმა" სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირეს, მაგრამ მერე და მერე ჟუბერის უზუსტობამა და გუნდის უდისციპლინობამ დაალალატათ. სტუმრები რაქსა და მოლში სულ თამაშგარედან თამაშობდნენ და ირლანდიელ მსაჯ სტირლინგს ხშირად ედავებოდნენ კიდეც. ამ დღეში რომ იყვნენ, ხელახლა პატივდებულმა ვეტერანმა კერვინმა ზინზან ბრუქის გარღვევის შემდეგ გადამწყვეტი ლელო გაუტანათ.

თამაში მეტისმეტად ხისტი გამოდგა. რაქებში ზელანდიელ იენ ჯოუნზს ყვრიმალი ჩაუმტვრიეს, სამხრეთაფრიკელ ბურჯ ბალი სვორტს ტვინი შეერყა, შუამარბ პიტერ მულერს კი თამაშის შემდეგ კისერი თაბაშირში ჩასასმელი გაუხდა, რის გამოც შინ ნაადრევად გაისტუმრეს.

**ვალერი ჟიჟია**

**8-4 ივნისს სპილოს ძვლის ნაპირზე გამართულ ФИРА-ს** თავყრილობას, რომელსაც საპატიო მიზეზთა გამო ვერ დაესწრო უამრავი, მათ შორის ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი, შეუდგენია გარდამავალი, **1994-95** წლების პირველობის ქვეჯგუფები. გუნდები გეოგრაფიული პრინციპით დაუჯგუფებიათ. საქართველო, რომელიც მეორე დონეზე თამაშობს, ამა წლის შემოდგომაზე უმასპინძლებს ავსტრიას, მაგრამ ეწვევა უნგრეთს, გაისად მაისში კი ჯერ ესტუმრება მოლდოვას, ბოლოს კი შინ ბულგარეთს ეთამაშება. ამ შეჯიბრების გამარჯვებული ვერსაით აღზევდება, ამიტომ ჩვენებს ახალი გუნდის შექმნა-შეთამაშება შეეძლებათ **1995-96** წლების სეზონისათვის, რომლისთვისაცაა დაგეგმილი დონეებს შორის უახლოესი მიმოცვლა.

| ბ1 | ბ2 | ბ3 |
|---|---|---|
| დანია | ავსტრია | ანდორა |
| ლატვია | ბულგარეთი | ლუქსემბურგი |
| ლიტვა | მოლდოვა | სლოვენია |
| უკრაინა | საქართველო | შვეიცარია |
| შვედეთი | უნგრეთი | ხორვატია |


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29
წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედკოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მექველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)